F171
1945

უფასო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებათა და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მერვე

№ 3	Сборник приказов и распоряжений НКПроса Грузинской ССР	1945 г.

სარჩევი

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილება № 750 სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
2. დებულება სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ.
3. ინსტრუქცია სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ.
4. ინსტრუქცია სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ექსტერნად ჩაბარების შესახებ.

თბილისი
1945

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააბრუნეთ წიგნი დროზე
Возвратите книгу во время

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილება № 750 სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკოლაში სასწავლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც ამთავრებენ დაწყებითს და შვიდწლიან სკოლას დაწესდეს გამოსაშვები გამოცდების სავალდებულო ჩაბარება, ხოლო იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც ამთავრებენ საშუალო სკოლას, — გამოცდების ჩაბარება სიმწიფის ატესტატზე.

გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება და გამოცდები სიმწიფის ატესტატზე შემოღებული იქნას 1944/45 სასწავლო წლიდან.

2. საშუალო სკოლის იმ მოსწავლეთა დასაჯილდოებლად, რომელნიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარებისას საუკეთესო წარმატებას გამოიჩენენ და წარჩინებული ყოფაქცევისა არიან, დაწესდეს ოქროს და ვერცხლის მედალი.

ოქროს მედლით დაჯილდოვდნენ ის პირნი, რომელთაც აქვთ საუკეთესო ყოფაქცევა და ნიშანი „5“ საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში.

ვერცხლის მედლით დაჯილდოვდნენ ის პირნი, რომელთაც აქვთ საუკეთესო ყოფაქცევა, ნიშანი „5“ სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელ ყველა საგანში და ნიშანი „4“ არაუმეტეს სამ დანარჩენ საგანში.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის
28 ივლისის დადგენილებით.

დებულება

სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ

§ 1

გამოცდები სიმწიფის ატესტატზე ტარდება საშუალო სკოლის კურსის მოცულობით, უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო ცოდნის სისრულისა და სიმტკიცის გამორკვევის მიზნით.

§ 2

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან:

ა) მოსწავლეები, რომელთაც გაიარეს საშუალო სკოლის კურსი და აქვთ წლიური ნიშნები მე-10 კლასში ყველა საგანში არანაკლებ „3"-სა, ხოლო ყოფაქცევაში ნიშანი „5";

ბ) 17 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელთაც საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ ან იგი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ სურთ მიიღონ სიმწიფის ატესტატი, — ექსტერნის წესით.

შენიშვნა: ექსტერნებისათვის გამოცდების ჩატარების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

§ 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეები, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, აბარებენ გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე საშუალო სკოლის სრული კურსის მიხედვით, შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა;
2. ქართული ლიტერატურა;
3. რუსული ენა;
4. რუსული ლიტერატურა;
5. მათემატიკა:
ა) ალგებრა,
ბ) გეომეტრია,
გ) ტრიგონომეტრია.
6. ფიზიკა;
7. ქიმია;
8. ისტორია:
ა) სსრ კავშირის ისტორია,
ბ) ახალი ისტორია,
გ) საქართველოს ისტორია.
9. უცხო ენა.

შენიშვნა: 1. მოსწავლეები, რომლებიც არაქართულ საშუალო სკოლას ამთავრებენ, აბარებენ გამოცდებს მე-3 §-ით გათვალისწინებულ ყველა საგანში, გარდა ქართული ენასა და ლიტერატურისა, რომლის ნაცვლად აბარებენ გამოცდას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, ხოლო არაქართულ სკოლებში — დედა ენასა და ლიტერატურაში გამოცდები ტარდება წერითი და ზეპირი, ყველა დანარჩენ საგანში — მხოლოდ ზეპირი.

§ 4

სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ტარდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ — 20 მაისიდან 30 ივნისამდე.

§ 5

სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს ატარებს საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე), საგამოცდო საგნის მასწავლებელი, 2 ასისტენტი — უფროსი კლასების იმავე საგნის (ან მისი მონათესავე საგნების) მასწავლებელთა რიცხვიდან, საქართველოს სსრ განსახკომის, ან შესაბამისად — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

შენიშვნა: 1. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი პირები, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება.

2. საქართველოს სსრ განსახკომს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას შეუძლიათ შეიყვანონ საგამოცდო კომისებში, როგორც ასისტენტები, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტების მასწავლებლები.

3. საქართველოს სსრ განსახკომის, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ არსებული დებულებისა და ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში მოვალეა შეაჩეროს გამოცდები და აცნობოს ეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ან შესაბამისად — აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს — სათანადო ზომების მისაღებად.

§ 6

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ადგილზე ჩატარების მიზნით, იმ საშუალო სკოლებში, რომელთაც უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები არა ჰყავთ, საქართველოს სსრ განსახკომი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომები და სამხ-

რეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება გზავნიან საგამოცდო კომისიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საშუალო სკოლებში კი, სადაც უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები არ არიან, ყველა იმ საგანში, რომლებიც სიმწიფის ატესტატის მისაღებად უნდა იქნეს ჩაბარებული, სახალხო განათლების განყოფილებანი გზავნიან სათანადო განათლების მქონე მასწავლებლებს ამ საგნებში გამოცდების ჩასატარებლად.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც სკოლის დირექტორს დამთავრებული უმაღლესი განათლება არა აქვს, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საქართველოს სსრ განსახკომის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

შენიშვნა: 1. საშუალო სკოლებს, რომელთაც გამოსაშვებ კლასში 15-ზე ნაკლები მოსწავლე ჰყავთ და ამავე დროს არ ჰყავთ სათანადო განათლების მქონე მასწავლებლები,— შეუძლიათ მოსწავლეები, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად, გაგზავნონ იმ სკოლებში, რომლებსაც მათ მიუთითებს საქართველოს სსრ განსახკომი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება.

2. უცხო ენაში და აგრეთვე რუსულ ენაში არარუსულ სკოლებში, სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები შეიძლება ჩაატარონ იმ მასწავლებლებმა, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება სპეციალობის მიხედვით.

§ 7

გამოცდები სიმწიფის ატესტატზე იწყება წერითი სამუშაოთი (თხზულებით) ქართულ ენასა და ლიტერატურაში. წერითი სამუშაოს „3"-ზე ნაკლები ნიშნით შეფასებისას მოსწავლე შემდგომ გამოცდების ჩაბარებაზე არ დაიშვება.

შენიშვნა: არაქართულ სკოლებში გამოცდები იწყება წერითი სამუშაოთი (თხზულებით) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

§ 8

ცოდნის შეფასებას სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე განსაზღვრავს საგამოცდო კომისია. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში შეფასების საკითხი წყდება ხმის უმრავლესობით, ამასთან უმცირესობის აზრი აუცილებლად უნდა ჩაიწეროს ოქმში; იმ შემთხვევაში კი, როდესაც საქართველოს სსრ განსახკომის, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი ან კომისიის თავმჯდომარე არ ეთანხმება კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას, საკითხს სწყვეტენ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგე იმ მასალების საფუძველზე, რომლებსაც უდგენს მათ საგამოცდო კომისია.

§ 9

ის პირნი, რომელნიც ჩააბარებენ გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე, ითვლებიან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულებად და სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საგამოცდო კომისიის ოქმების საფუძველზე, იღებენ სიმწიფის ატესტატს სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა სასწავლო ნაწილში და მასწავლებელთა ხელმოწერით.

ატესტატში, გარდა საგამოცდო საგნებისა, შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი საგნები: ანტიური ქვეყნების ისტორია, საშუალო საუკუნეების ისტორია, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუცია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ასტრონომია, სამხედრო-ფიზიკური მომზადება, ხატვა და ხაზვა. ყოველ ამ საგანში ატესტატში აღნიშნულ უნდა იქნეს მოსწავლის მიერ იმ კლასში მიღებული შეფასება, რომელშიაც ეს საგანი დამთავრდა.

შენიშვნა: მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ ნიშნები „3“ და „4“ იმ საგნებში, რომელნიც არ შედიან სიმწიფის ატესტატის მისაღებ საგამოცდო საგნების რიცხვში, უფლება ენი-

ჭებათ სკოლის პედაგოგიური საბჭოს ნებართვით ჩააბარონ დამატებითი გამოცდები ამ საგნებში უფრო მაღალი შეფასების მისაღებად.

ამ დამატებითი გამოცდების ჩაბარება წარმოებს სწავლების უკანასკნელი წლის მეორე ნახევარში სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების დაწყებამდე, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდებისათვის არსებული ყველა წესის დაცვით.

§ 10

სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, მოსწავლეები, რომლებიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდისას გამოიჩენენ საუკეთესო წარმატებას და ყოველ სასწავლო საგანში მიიღებენ „5"-ს, თუ ისინი ამავე დროს წარჩინებული ყოფაქცევისა არიან, — ჯილდოვდებიან ოქროს მედლით.

მოსწავლეები, რომლებიც სიმწიფის ატესტატის მისაღებად ყველა საგამოცდო საგანში მიიღებენ შეფასება „5"-ს, ხოლო დანარჩენ სასწავლო საგნებიდან არა უმეტეს სამისა შეფასება „4"-ს და ამავე დროს არიან წარჩინებული ყოფაქცევისა, — ჯილდოვდებიან ვერცხლის მედლით.

ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებულ პირთ ეძლევათ განსაკუთრებული ნიმუშის სიმწიფის ატესტატი.

§ 11

გამოცდების დამთავრების შემდეგ საზეიმო აქტზე სკოლის დირექტორი აბარებს სიმწიფის ატესტატებსა და მედლებს იმ პირთ, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს.

§ 12

იმ პირთ, რომლებმაც სიმწიფის ატესტატი მიიღეს, უფლება აქვთ შევიდნენ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

ოქროს მედლით დაჯილდოებულ პირთ უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად.

ვერცხლის მედლით დაჯილდოებული პირნი, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელი გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან პირველ რიგში.

ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, რომლებიც მიღებული არიან უმაღლეს სასწავლებელში, უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით.

§ 13

საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არ იქნენ დაშვებული სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე ან ვერ ჩააბარეს გამოცდები, გადიან სკოლიდან და იღებენ მოწმობას, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს საბოლოო შეფასებანი სკოლაში გავლილ ყველა სასწავლო საგანსა და ყოფაქცევაში.

იმ პირთ, რომლებმაც ვერ ჩააბარეს გამოცდები სიმწიფის ატესტატზე, უფლება ეძლევათ განმეორებით ჩააბარონ გამოცდები იმავე სკოლაში ერთი წლის შემდეგ.

იმ მოსწავლეებს, რომელნიც არ იქნენ დაშვებული სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე წარუმატებულობის გამო, უფლება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები იმავე სკოლაში ერთი წლის შემდეგ დღიდან გამოცდების ჩაბარებისა იმ საგნებში, რომლებშიაც მათ „3"-ზე ნაკლები ნიშნები ჰქონდათ.

§ 14

ამ დებულების საფუძველზე საქართველოს სსრ განსახკომი ადგენს ინსტრუქციას სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე.
1945 წ. 3 მარტი.

ინსტრუქცია

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

§ 1

სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ტარდება საშუალო სკოლის კურსის მოცულობით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1944 წლის 28 ივლისს დამტკიცებულ „სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების დებულების“ საფუძველზე. გამოცდების მიზანია გამოარკვიოს, თუ რამდენად სრულად და მტკიცედ არიან დაუფლებულნი მოსწავლენი საშუალო სკოლის კურსს, გააჩნიათ თუ არა მათ უმაღლეს სკოლაში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ცოდნა.

§ 2

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან:

ა) X კლასის მოსწავლენი, რომელთაც აქვთ ყველა სასწავლო საგანში წლიური ნიშანი არანაკლებ „3“-სა, ხოლო ყოფაქცევაში კი ნიშანი „5“;

ბ) 17 წელზე მეტი ასაკის მქონე ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ ან უსწავლიათ, მაგრამ იგი

არ დაუმთავრებიათ და სურთ მიიღონ ექსტერნის წესით სიმწიფის ატესტატი.

შენიშვნა: ა) წლიური ნიშნის გამოყვანის წესის შესახებ იხილეთ სათანადო მითითება.

ბ) სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ექსტერნად ჩაბარება წარმოებს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული სათანადო ინსტრუქციის საფუძველზე.

§ 3

X კლასში განმეორებით შეიძლება დატოვებულ იქნენ:

ა) მოსწავლენი, რომლებმაც მოიპოვეს სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების უფლება, მაგრამ ავადმყოფობის გამო გამოცდებზე ვერ გამოცხადდნენ ან გამოცდის პერიოდში გახდნენ ავად და გამოცდები ვერ დაამთავრეს.

ეს მოსწავლენი ვალდებულნი არიან ხელმეორედ მოიპოვონ სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების უფლება.

ბ) მოსწავლენი, რომლებმაც ავადმყოფობის გამო გამოტოვეს 45 და მეტი სასწავლო დღე და ვერ მოიპოვეს გამოცდებზე გასვლის უფლება.

შენიშვნა: მოსწავლეების ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სათანადო სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური ცნობით.

§ 4

ყოფაქცევაში ნიშანი 5-ის მქონე მოსწავლეები, რომელნიც აკადემიური ჩამორჩენილობის გამო არ იქნენ დაშვებულნი სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდაზე და დატოვებული არ არიან კურსის განმეორებით გასავლელად — სკოლიდან გადიან და მათ ეძლევათ მოწმობა სკოლაში სწავლის შესახებ, სადაც აღნიშნული უნდა იქნეს ყველა სასწავლო საგანსა და ყოფაქცევაში მიღებული საბოლოო შეფასება.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით მათ უფლება ეძლევათ ერთი წლის შემდეგ ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე იმავე სკოლაში. ეს მოსწავლენი სიმწიფის ატესტატის მისა-

ლებ გამოცდებზე დაიშვებიან გამოცდების წინასწარ ჩაბარების შემდეგ იმ საგნებში, რომლებშიაც მათ ქონდათ „3"-ზე ნაკლები ნიშანი. წინასწარი გამოცდები ტარდება ყოველი სასწავლო წლის მეორე მეოთხედის ბოლოს, 1-დან 20 იანვრამდე, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდებისათვის არსებული ყველა წესის დაცვით.

შენიშვნა: მოსწავლეებს, რომლებიც არ იქნენ დაშვებულნი გამოცდებზე ცუდი ყოფაქცევის გამო, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარება შეუძლიათ მხოლოდ შემდეგ წლებში ექსტერნის წესით.

§ 5

X კლასებში სასწავლო მეცადინეობა მთავრდება 15 მაისს. 15 და 16 მაისს პედაგოგიური საბჭო იხილავს და ამტკიცებს X კლასის თითოეული მოსწავლის წარმატებისა და ყოფაქცევის წლიურ ნიშნებს და წყვეტს სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლეთა დაშვების საკითხს.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილება უნდა გაფორმდეს სათანადო ოქმით, ამასთან გადაწყვეტილება, რომ მოსწავლე დაშვებული არ არის გამოცდებზე, უნდა დასაბუთდეს.

გამოცდებზე დაშვებულთა სიას მოსწავლეები გაცნობილი უნდა იქნენ არაუგვიანეს 17 მაისისა.

§ 6

მოსწავლეები, რომელნიც საშუალო სკოლას ამთავრებენ სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის სრული კურსის მიხედვით, შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენაში,
2. ქართულ ლიტერატურაში,
3. რუსულ ენაში,
4. რუსულ ლიტერატურაში,
5. მათემატიკაში,
ა) ალგებრაში,
ბ) გეომეტრიაში,
გ) ტრიგონომეტრიაში,
6. ფიზიკაში,

7. ქიმიაში,
8. ისტორიაში:
ა) სსრ კავშირის ისტორიაში,
ბ) ახალ ისტორიაში,
გ) საქართველოს ისტორიაში,
9. უცხო ენაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. რუსული საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლენი ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდას არ აბარებენ;

2. სომხური და აზერბაიჯანული საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლენი ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ნაცვლად აბარებენ გამოცდას მშობლიურ ენაში და მშობლიურ ლიტერატურაში;

3. მშობლიურ ენასა და მშობლიურ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და რუსულ ლიტერატურაში, ალგებრაში, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში გამოცდები ტარდება წერითი და ზეპირი, ყველა დანარჩენ საგანში — მხოლოდ ზეპირი. მათემატიკაში ორი წერითი გამოცდაა,—ა) ალგებრა-არითმეტიკაში და ბ) გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში, ზეპირი გამოცდა კი სამია: ა) ალგებრაში, ბ) გეომეტრიასა და გ) ტრიგონომეტრიაში;

4. ენაში გამოცდები ტარდება ლიტერატურაში გამოცდასთან ერთად, მაგრამ ნიშანი ენაში და ლიტერატურაში ცალცალკე იწერება.

§ 7

მოსწავლეებს, რომელთაც ძველი ქვეყნების ისტორიაში, შუა საუკუნეების ისტორიაში, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში და ასტრონომიაში აქვთ ნიშნები „3“ და „4“, პედაგოგიური საბჭოს ნებართვით, უფლება ეძლევათ, გამოცდების ბოლოს, 25 დან — 30 ივნისამდე, დამატებით ჩააბარონ ამ საგნებში გამოცდები უფრო მაღალი ნიშნების მისაღებად.

დამატებითი გამოცდების ჩაბარება ხდება კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ყველა წესის დაცვით.

II. საგამოცდო კომისიის შემადგენლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 8

სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს ატარებს საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე), საგნის მასწავლებელი, 2 ასისტენტი—იმავე,—ან მისი მონათესავე — საგნის უფროსი კლასების მასწავლებელთაგან, საქართველოს სსრ განსახკომის ან შესაბამისად — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

საქართველოს სსრ განსახკომს ან შესაბამისად — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას შეუძლიათ თავიანთ წარმომადგენლებად დანიშნონ კომპეტენტური პირები სახალხო განათლების განყოფილების მუშაკთა შემადგენლობიდან, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების მეცნიერ თანამშრომელთა და მასწავლებელთაგან.

საგამოცდო კომისიათა შემადგენლობას ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საშუალო სკოლებისათვის ამტკიცებს შესაბამი ავტონომიური რესპუბლიკის განსახკომი და ოლქის განათლების განყოფილება, საქართველოს სსრ-ს სხვა დანარჩენი სკოლებისათვის კი — საქართველოს სსრ განსახკომი.

შენიშვნა: 1. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი პირები, რომელთაც აქვთ დასრულებული უმაღლესი განათლება;

2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში არარუსულ სკოლებში, აგრეთვე, უცხო ენაში, ყველა საშუალო სკოლაში, გამოცდები შეიძლება ჩაატარონ იმ მასწავლებლებმაც, რომელთაც აქვთ მიღებული საშუალო განათლება სპეციალობის მიხედვით;

3. საქართველოს სსრ განსახკომს ან შესაბამისად — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას

საგამოცდო კომისიაში შეუძლიათ ასისტენტებად შეიყვანონ უმაღლეს სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტების მასწავლებლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 9

საქართველოს სსრ განსახკომის ან შესაბამისად — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენელი, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ არსებული დებულების და ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულია შეაჩეროს გამოცდა და აცნობოს ამის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ან შესაბამისად — აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრებს ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს — სათანადო ზომების მისაღებად.

საქართველოს სსრ განსახკომის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენლები ინიშნებიან ერთი თვით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

შენიშვნა: საქართველოს სსრ განსახკომის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენლად არ შეიძლება დაინიშნოს ამავე სკოლაში მომუშავე პირი.

§ 10

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ადგილზე ჩატარების მიზნით, იმ საშუალო სკოლებში, რომლებშიაც უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები არ არიან, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სსრ განსახკომი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება ქმნიან კომისიებს და გზავნიან უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებს.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც სკოლის დირექტორს დამთავრებული უმაღლესი განათლება არა აქვს, საგამოცდო კომისიის

თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საქართველოს სსრ განსახკომის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

შენიშვნა: საშუალო სკოლებს, რომელთაც გამოსაშვებ კლასში 15-ზე ნაკლები მოსწავლე ჰყავთ და ამავე დროს არ ჰყავთ სათანადო განათლების მქონე მასწავლებლები,— შეუძლიათ მოსწავლეები, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად, გაგზავნონ იმ სკოლებში, რომლებსაც მათ მიუთითებს საქართველოს სსრ განსახკომი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება.

III. გამოცდების ჩატარების წესი

§ 11

სიმწიფის ატესტატზე გამოცდები წელიწადში ერთხელ წარმოებს, — სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, 20 მაისიდან 30 ივნისამდე.

§ 12

გამოცდების ცხრილი, დამტკიცებული საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მიერ, გამოკრულ უნდა იქნას 10 დღით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

პირველი გამოცდა — წერითი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (არაქართულ სკოლებში — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში) 20 — მაისს ტარდება. დანარჩენი წერითი გამოცდებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა სკოლისათვის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი აწესებს საერთო დღეს ცალცალკე თითოეულ საგანში.

ზეპირი გამოცდები იმავე საგანში ჩატარებულ წერითს გამოცდებს მოსდევს.

პირველი გამოცდის შემდეგ შესვენების ხანგრძლივობა 2—3 დღით განისაზღვრება, რათა ყველა იმ მოსწავლეთა თხზულება,

რომელნიც გამოცდას აბარებენ, გულდასმით შეამოწმოს საგამოცდო კომისიის ყველა წევრმა.

შემდგომ გამოცდებს შორის შესვენების ხანგრძლივობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თითოეული საგნის კურსის მოცულობა, ყოველ შემთხვევაში, შესვენების ხანგრძლივობა 2 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

შენიშვნა: ა) რადგან 1945 წელს 20 მაისი კვირაა, პირველი გამოცდა 21 მაისს ჩატარდება;

ბ) დაბარჩენ საგნებში წელს — 1945 წელში — წერითი გამოცდები რესპუბლიკის ყველა სკოლის X კლასში ჩატარდება: ალგებრაში—26 მაისს, გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში კი — 1 ივნისს.

§ 13

ის მოსწავლე, რომელიც „3"-ზე ნაკლებ ნიშანს მიიღებს მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერაში, — შემდგომ გამოცდაზე აღარ დაიშვება.

შემდგომ გამოცდაზე აღარ დაიშვებიან აგრეთვე ის მოსწავლენიც, რომლებიც ერთერთ საგამოცდო საგანში მიღებენ „3"-ზე ნაკლებ ნიშანს.

შენიშვნა: ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში იგულისხმება საერთო ნიშანი — გამოყვანილი წერითი და ზეპირი ნიშნების საფუძველზე.

§ 14

წერითი გამოცდები შემდეგი სახით ეწყობა:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (არაქართულ სკოლებში კი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში) მოსწავლეებს ეძლევა თემა თხზულების დასაწერად გავლილი ლიტერატურული მასალიდან;

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში,—მოთხრობის შინაარსის გადმოცემა (მასწავლებლის მიერ კლასში მოთხრობის წინასწარ წაკითხვის შემდეგ);

გ) ალგებრაში — ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი ალგებრიდან და ერთი მაგალითი არითმეტიკიდან;

დ) გეომეტრია — ტრიგონომეტრიაში — ერთი გეომეტრიული ამოცანა, რომელიც ამოიხსნება ტრიგონომეტრიის გამოყენებით და ერთი მაგალითი ტრიგონომეტრიიდან.

შენიშვნა: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (არაქართულ სკოლებში კი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში), მოსწავლეებს ეძლევათ სამი თემა, რომელთაგან მოსწავლემ ერთ-ერთი უნდა აირჩიოს;

2. ამოცანები და მაგალითები ერთ ვარიანტად დგება და საერთო ყველა მოსწავლისათვის;

3. წერითი სამუშაოს შესასრულებლად, იმ დროის ჩათვლით, რაც საჭიროა მათი სუფთად გადაწერისათვის, მოსწავლეებს ეძლევათ 4 საათი თანმიყოლებით.

§ 15

საგამოცდო თემებს თხზულებისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ამოცანებსა და მაგალითებს მათემატიკაში ადგენს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი. თემები, ამოცანები და მაგალითები მოთავსებულია დალუქულ პაკეტებში, რომელზედაც აღნიშნულია გამოცდის ჩატარების თარიღი. პაკეტს ხსნის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთა თანდასწრებით, გამოცდისათვის დაწესებულ დღეს გამოცდის დაწყებამდე. პაკეტის გახსნის შესახებ დგება სათანადო აქტი.

საგამოცდო თემა რუსულ ენასა და ლიტერატურაში არარუსულ სკოლებში ადგილზე უნდა შესდგეს. მას ერთი დღით ადრე ამტკიცებს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

§ 16

წერითი გამოცდებისათვის გამოყოფილ უნდა იქნას სკოლის დარბაზი ან ყველაზე უფრო დიდი საკლასო ოთახი. მოსწავლენი ერთი-მეორისაგან განცალკევებით დადგმულ მაგიდებზე ან მერხებზე სხდებიან, თითო მაგიდასთან ან მერხზე — თითო მოსწავლე.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცდაზე დაშვებული მოსწავლეების რიცხვი დიდია, წერითი სამუშაოსათვის გამოყოფილი უნდა იქნას 2 ან 3 ოთახი, ამასთან მოსწავლენი საგამოცდო კომისიის წევრთა განუწყვეტელი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყვნენ.

მოსწავლეებს არა აქვთ უფლება გამოცდაზე იქონიონ რაიმე სასწავლო ნივთი ან წიგნი,—გარდა ლოგარითმების ცხრილისა იმ დღეებში, როცა უნდა ჩატარდეს წერითი გამოცდა მათემატიკაში.

საწერ-კალამსა და ქაღალდს ყველა გამოსაცდელს სკოლა აძლევს, ქაღალდზე სკოლის შტამპი უნდა იყოს დასმული.

წერითი სამუშაო შეიძლება თავდაპირველად შავად შესრულდეს ქაღალდის მთელ ფურცელზე, გარკვეული ხელით და აუცილებლად მელნით. შავად ნაწერი სუფთად გადაწერილ ნამუშევრებთან უნდა იქნას წარმოდგენილი.

საგამოცდო კომისიის წევრი, ნამუშევრის მიღებისას, მასზე აღნიშნავს მიღების დროს.

მოსწავლე შესრულებულ სამუშაოს ჩაბარებისთანავე გადის საგამოცდო ოთახიდან. მოსწავლენი, რომელნიც ვერ დაამთავრებენ სამუშაოს დაწესებულ დროში, კომისიას აბარებენ დაუმთავრებელ ნამუშევარს.

§ 18

მოსწავლეებს, რომელნიც გამოცდების პერიოდში ავად გახდებიან და მათ დამთავრებამდე გაჯანმრთელდებიან, საგამოცდო კომისიის ნებართვით, შეუძლიათ ჩააბარონ, როგორც დარჩენილი, ასევე გამოტოვებული ყველა გამოცდა.

ამ მოსწავლეებთან წერითი გამოცდების ჩასატარებლად სკოლებს სპეციალური სათადარიგო პაკეტით ეგზავნებათ თხზულებათა დამატებითი თემები, ამოცანა და მაგალითები მათემატიკაში.

შენიშვნა: სათადარიგო პაკეტები რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში წელს, — 1945 წელში, — უნდა გაიხსნის: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—25 ივნისს, ალგებრაში—27 ივნისს, ხოლო გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში — 29 ივნისს.

ეს დამატებითი წერითი გამოცდა უნდა ჩატარდეს წერითი გამოცდებისათვის დადგენილი ყველა წესის დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 19

სიმწიფის ატესტატზე ზეპირი გამოცდები ტარდება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ბილეთებით, რომლებიც წინასწარ უნდა გაეცნოს მოსწავლეებს.

მშობლიურ ენასა და რუსულ ენაში გრამატიკულად გასარჩევ ტექსტებსა და მათემატიკაში ამოცანებსა და მაგალითებს ბილეთებისათვის ამტკიცებს საგამოცდო კომისია. ეს დამატებითი მასალა მოსწავლეს მხოლოდ გამოცდის დროს უნდა გაეცნოს.

§ 20

იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეთა რიცხვი 25 აღემატება, ზეპირი გამოცდისას კლასი ორ ჯგუფად იყოფა, მაგრამ გამოცდა ერთ დღეს ტარდება ჯერ ერთ ჯგუფთან და მერე მეორესთან. თითოეულ ჯგუფს ბილეთების მთელი კომპლექტი ეძლევა.

ბილეთები, რომლებითაც გამოკითხულ იქნენ მოსწავლეები, აღარ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმავე ჯგუფში.

§ 21

მოსწავლენი დანიშნულ საათზე ცხადდებიან გამოცდებზე და გამოცდის ჩაბარებამდე რჩებიან საგამოცდო ოთახში.

შესვენებას, რომლის დროსაც დამსწრეებს (იმათ გარდა, ვისაც ბილეთი აქვს ხელზე) შეუძლიათ გავიდნენ საგამოცდო ოთახიდან, კომისია თავისი შეხედულებით აწესებს. ამასთან მოპასუხე მოსწავლის გამოკითხვა არა წყდება.

§ 22

მოსწავლე, რომელმაც ბილეთი აიღო, განცალკევებულ მერხზე ჯდება ან დაფასთან გადის. პასუხის მოსაფიქრებლად მას ეძლევა 10 — 15 წუთი.

§ 23

ზეპირ გამოცდას საგამოცდო კომისიის ყველა წევრთა თანდასწრებით ატარებს კომისის წევრი, — საგამოცდო საგნის მასწავლებელი.

ბილეთზე პასუხის გაცემის შემდეგ, კომისიის წევრებს შეუძლიათ დამატებით კითხვები მისცენ მოსწავლეს პროგრამის ფარგლებში. თუ ეს საჭიროდ მიაჩნიათ მისი ცოდნის შესახებ უფრო ზუსტი წარმოდგენის მისაღებად.

§ 24

თუ მოსწავლე უხეშად არღვევს გამოცდების ჩატარების დადგენილ წესს, კომისია დამნაშავეს უფლებას ართმევს განაგრძოს დაწყებული გამოცდები ამ წელს.

§ 25

საგამოცდო კომისია ადგენს გამოცდების მიმდინარეობის ოქმს დაწესებული ფორმის მიხედვით. (ფორმა თან ერთვის).

ოქმს ხელს აწერს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ყველა წევრი.

IV. ცოდნის შეფასება

§ 26

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების დროს შემოწმებული უნდა იქნეს, როგორც მოსწავლის ცოდნის სისრულე და სიმტკიცე, ისე მოსწავლის აზროვნებისა და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირების უნარი.

გამოცდების ჩატარების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად იცის მოსწავლემ ის, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ყოველ საგანში და არა მისი ცალკეული წვრილმანები.

§ 27

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეული წერითი გამოცდის დამთავრების შემდეგ ნამუშევარს ამოწმებს, პირველ ყოვლისა, ამ საგნის მასწავლებელი, — კომისიის წევრი, — და, შეცდომების შესახებ აკეთებს შენიშვნებს არშიაზე. შენიშვნები გაკეთებული უნდა იქნეს ყველა შეცდომის შესახებ. ამასთან აუცილებლად უნდა იქნეს გადათვალიერებული შავად ნაწერიც.

წერითი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ საგამოცდო კომისიის მთელმა შემადგენლობამ უნდა განიხილოს დაწერილი ნიშნები, დაადგინოს თითეული ნამუშევრის საბოლოო შეფასება და შეიტანოს ოქმში.

შენიშვნა: კომისიის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში საბოლოო შეფასების საკითხი ხმის უმრავლესობით წყდება, ამასთან უმიცრესობის აზრიც შეტანილი უნდა იქნას ოქმში, თუ სახალხო განათლების ორგანოების წარმომადგენელი ან საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კომისიის უმრავლესობის აზრს არ ეთანხმება, მაშინ, საქმეს საბოლოოდ წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ან შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომები, ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება, ამასთან მოსწავლის გამოცდა უნდა გაგრძელდეს.

ზეპირი გამოცდის დამთავრების შემდეგ საგამოცდო კომისიამ უნდა განიხილოს თითოეული მოსწავლის პასუხის ხარისხი და საბოლოო შეფასება შეტანილი უნდა იქნეს გამოცდის ოქმში.

შენიშვნა: აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში მოსწავლის პასუხის შეფასების საკითხი იმავე წესით უნდა გადაწყდეს, როგორც წყდება წერითი ნამუშევრის შეფასებისას.

§ 29

ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—არაქართულ სკოლებში) რუსულ ენასა და ლიტერატურაში და ყველა მათემატიკურ საგანში წერითი და ზეპირი გამოცდის შემდეგ კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, თუ

რა ნიშანი უნდა დაეწეროს თითოეულ მოსწავლეს ატესტატში ჩასაწერად: 1. ქართულ ენაში (არაქართულ სკოლებში—მშობლიურ ენაში), 2. ქართულ ლიტერატურაში (არაქართულ სკოლაში — მშობლიურ ლიტერატურაში), 3. რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში), 4. რუსულ ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში), 5. ალგებრაში, 6. გეომეტრიაში, 7. ტრიგონომეტრიაში.

სამოქალაქო ისტორიაში კომისია სამ ნიშანს ადგენს:

1. სსრ კავშირის ისტორიაში, 2. ახალ ისტორიაში და 3. საქართველოს ისტორიაში.

შენიშვნა: ა) ენებში ნიშნების დაწერისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თხზულების ხარისხი ორთოგრაფიული და სინტაქსურის მხრივ.

ბ) ენებსა და მათემატიკურ დისციპლინებში წერასა და ზეპირში საბოლოო ნიშნის დადგენის წესის შესახებ იხილეთ სათანადო მითითება.

§ 30

სიმწიფის ატესტატში ნიშანი იწერება ყველა საგამოცდო საგანში, გარდა ამისა, შემდეგ საგნებში: ძველი მსოფლიოს ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუცია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ასტრონომია, სამხედრო-ფიზიკური მომზადება, ხატვა და ხაზვა.

ყველა იმ საგანში, რომელიც საგამოცდო არ არის, ატესტატში უნდა ჩაიწეროს მოსწავლის მიერ იმ კლასში მიღებული საბოლოო ნიშანი, სადაც ეს საგანი დამთავრდა, ან ის ნიშანი, რაც მოსწავლემ ამ საგანში სპეციალურ დამატებით გამოცდაზე მიიღო (იხილე § 7).

V. ატესტატებისა და მედლების მინიჭება და მათი გაცემის წესი.

§ 31

გამოცდების დამთავრების შემდეგ სკოლის პედაგოგიური საბჭო სახალხო განათლების ორგანოების წარმომადგენელისა და საგამოცდო კომისიის ყველა წევრის მონაწილეობით წყვეტს სიმწიფის ატესტატების გაცემის საკითხს და ამავე დროს სა-

ქართველოს სსრ განათლების სახალხო კომიარიატს ან შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ის განსახკომებს ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას უდგენს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან კანდიდატებს, რომლებსაც უნდა მიენიჭოთ ოქროსა და ვერცხლის მედალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: მედლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილ პირთა ყველა საგამოცდო წერითი ნამუშევარი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ეგზავნება მათი შეფასების სისწორისა და მედლების მინიჭების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის.

ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში საქართველოს სსრ განსახკომის რეცენზირების შემდეგ შეფასებულ იქნება „5"-ზე და ამავე დროს აკმაყოფილებენ ამ ინსტრუქციის შემდეგი, § — 32-ით გათვალისწინებულ პირობებს. ეს ნამუშევრები სკოლაში დაბრუნების შემდეგ ყველა იმ მოსწავლეთა ნამუშევრებთან ერთად ინახება, რომელთაც ჩააბარეს გამოცდები სიმწიფის ატესტატზე.

§ 32

სიმწიფის ატესტატის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ატესტატში ჩასაწერ ყველა საგანში „3"-ზე ნაკლები ნიშანი არ აქვთ.

ოქროს მედლით ჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომელთაც გამოცდებზე ყველა საგანში „5" მიიღეს, აგრეთვე ნიშანი „5" აქვთ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დანარჩენ საგნებში და მასთან საუკეთესო ყოფაქცევისანი არიან.

ვერცხლის მედლით ჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომელთაც საუკეთესო წარმატება გამოიჩინეს გამოცდების ჩაბარებისას, — მიიღეს ნიშანი „5" სიმწიფის ატესტატისათვის ჩასაბარებლად გათვალისწინებულ ყველა საგანში, აქვთ ნიშანი

„4“ — არა უმეტეს სამ დანარჩენ საგანში და მასთან საუკეთესო ყოფაქცევისანი არიან.

ოქროს და ვერცხლის მედლით დაჯილდოებულ პირთ განსაკუთრებული ნიმუშის სიმწიფის ატესტატი ეძლევათ.

§ 33

ის მოსწავლენი, რომელთაც ვერ ჩააბარეს გამოცდები სიმწიფის ატესტატზე სკოლიდან გადიან; მათ ეძლევათ მოწმობა სკოლაში სწავლის შესახებ, სადაც აღნიშნულია სკოლაში გავლილ ყველა სასწავლო საგანსა და ყოფაქცევაში მიღებული საბოლოო შეფასება. მათ უფლება აქვთ საერთო წესით, ერთი წლის შემდეგ, ერთხელ ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე იმავე სკოლაში.

§ 34

სიმწიფის ატესტატებსა და მედლებს აძლევს სკოლის დირექტორი საზეიმო აქტზე.

საზეიმო აქტს ესწრება ყველა, ვინც ატესტატს იღებს და პედაგოგიური საბჭოს მთელი შემადგენლობა.

საზეიმო აქტზე მოწვეულ უნდა იქნენ სახალხო განათლების ორგანოებისა, საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, მშობლები ან მათი მაგიერი პირნი და უფროსი კლასების მოსწავლენი.

უფლებების გაცნობის მიზნით, საზეიმო აქტზე, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის წაკითხული უნდა იქნეს სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1944 წლის 28 ივლისს დამტკიცებული დებულების § — 12.

VI. სიმწიფის ატესტატზე გამოცდების შედეგების აღრიცხვა.

§ -- 35.

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების დამთავრების შემდეგ, არაუგვიანეს 5 ივლისისა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ადგენს ჩატარებული მუშაობის ანგარიშს შემდეგი სქემის მიხედვით:

1. ქალაქი, რაიონი, სკოლის სრული სახელწოდება.

2. ამ სკოლის X კლასის მოსწავლეთა საერთო რიცხვი გამოცდების დაწყებამდე, მათგან გამოცდაზე დაშვებულთა რაოდენობა;

იმ საშუალო სკოლების სრული სახელწოდება, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ ამ სკოლაზე გამოცდების ჩასაბარებლად, X კლასების მოსწავლეთა რიცხვი ამ სკოლებში ცალცალკე, გამოცდების დაწყებამდე და გამოცდებზე დაშვებულთა რიცხვი;

რამდენი მოსწავლე გამოვიდა გამოცდებზე მთლიანად, რამდენმა ვერ ჩააბარა გამოცდები და რა მიზეზით (დატოვა გამოცდები ავადმყოფობის გამო, ჩაიჭრა მშობლიური ენის და ლიტერატურის საგამოცდო წერაში, ჩაიჭრა სხვა საგნებში, აღარ იქნა დაშვებული გამოცდებზე დისციპლინის უხეშად დარღვევის გამო;

რამდენმა ჩააბარა გამოცდა სულ, მათ შორის ამ სკოლიდან, სხვადასხვა სკოლებიდან (მითითებული იქნეს ცალცალკე სკოლის სრული სახელწოდება);

გამოცდა ჩაბარებულთა შორის რამდენია ოქროს მედლის კანდიდატი და რომელ სკოლიდან, თითოეული მათგანის გვარი, სახელი და მამის სახელი;

გამოცდა ჩაბარებულთა შორის რამდენია ვერცხლის მედლის კანდიდატი და რომელი სკოლიდან, თითოეული მათგანის გვარი, სახელი, მამის სახელი.

3. როგორი პირობები იყო შექმნილი სკოლაში გამოცდების ჩასატარებლად (გამოცდებისათვის მზადება, საგამოცდო ცხრილი, სასწავლო ნივთები და ხელსაწყოები, ბინა და სხვ.).

4. როგორი მომზადება გამოიჩინეს მოსწავლეებმა ცალკე საგამოცდო დისციპლინების მიხედვით (კონკრეტულად უნდა იქნეს აღნიშნული, თუ საგნის რომელი განყოფილება იცოდენ კარგად და რომელი ცუდად).

ანგარიში დგება სამ ცალად, ერთი ცალი რჩება სკოლაში, მეორე ცალი ეგზავნება განათლების განყოფილებას, ხოლო მესამე ცალი კი განსახკომს.

§ 36

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება ადგენენ ანგარიშს § 35-ით გათვალისწინებულ სქემის მიხედვით ასს რესპუბლიკაში, ოლქში, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ და უგზავნიან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს არაუგვიანეს 10 ივლისისა.

§ 37

სკოლის დირექტორმა გამოცდების დაწყებამდე უნდა გააცნოს ეს ინსტრუქცია სკოლის პედაგოგიური საბჭოს ყველა წევრს, აგრეთვე მოსწავლეებს იმ ნაწილში, რომელიც მათ ეხებათ.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის
დაწყებითი და საშუალო სკოლების
სამმართველოს უფროსი უშ. ოგოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ. საქართველოს სსრ განათ-
ლების სახალხო კომისარი—ვ. კუპრაძე,
1945 წ. 3 მარტი.

ინსტრუქცია

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ექსტერნად ჩაბარების შესახებ

§ 1

ექსტერნის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 17 წელზე მეტი ასაკის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ ან იგი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ სურვილი აქვთ მიიღონ საშუალო განათლება, მოიპოვონ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება.

შენიშვნა: ექსტერნის წესით სიმწიფის ატესტატის გამოცდებზე არ შეიძლება დაშვებული იქნან ის პირნი, რომელთაც შეუსრულდათ 17 წელი, მაგრამ სწავლობენ საშუალო სკოლების VIII, IX, X კლასებში ან სპეციალური ტექნიკუმებისა და სასწავლებლების I, II, III და IV კურსებზე.

§ 2

ექსტერნები სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს აბარებენ ქალ. ქალ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სტალინირში, იმ საშუალო სკოლებში, რომლებსაც საამისოდ გამოჰყოფს შესაბამისად ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე.

§ 3

იმ პირთ, რომელთაც სურთ ექსტერნად ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე, ამის შესახებ განცხადება უნდა მიმართონ არა უგვიანეს 1 აპრილისა ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში განათლების განყოფილების გამგის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ სს რესპუბლიკებში, განათლების სახალხო კომისრებისა, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქში,—ოლქის განათლების განყოფილების გამგის სახელზე. განცხადებას თან უნდა ჰქონდეს დართული: ა) ავტობიოგრაფია, ბ) დაბადების მოწმობა, გ) მოწმობა ან ცნობა განათლების შესახებ და დ) ორი ფოტოსურათი.

§ 4

ექსტერნები გამოცდებს აბარებენ 20 მაისიდან.

თუ ექსტერნთა რიცხვი 10 კაცზე ნაკლებია, მაშინ გამოცდების ჩაბარება წარმოებს მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად იმავე საგამოცდო კომისიებში. ასეთ შემთხვევაში სკოლას, რომელშიაც უნდა ჩააბაროს გამოცდები ექსტერნმა, გამოჰყოფს შესაბამისად ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე ან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარი ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე.

ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ექსტერნთა რიცხვი 10-ს აღემატება,—ექსტერნებისათვის სპეციალური კომისია იქმნება.

კომისიას აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამტკიცებს ასსრ განათლების სახალხო კომისარი და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე, ხოლო ქ. თბილისისა და ქუთაისისათვის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

§ 5

გამოცდებზე ექსტერნების დაშვების საკითხს წყვეტს ქალ. ქ. თბილისში და ქუთაისში განათლების განყოფილების გამგე, ავტონომიურ რესპუბლიკებში,—რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრები, ხოლო ოლქში, — ოლქის განათლების განყოფილების გამგე; გადაწყვეტილება მთხოვნელს უნდა ეცნობოს 15 დღით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

§ 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდებზე დაშვებულმა ექსტერნებმა უნდა შეიტანონ 200 მანეთი ერთდროულად.

ექსტერნატის ფასის გადასახადისაგან სათანადო საბუთის წარმოდგენის საფუძველზე თავისუფლდებიან:

ა) საბჭოთა კავშირის გმირები და მათი შვილები;

ბ) სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა და პარტიზანთა შვილები;

გ) სამამულო ომის ინვალიდები;

დ) წითელი არმიის რიგით და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირნი;

ე) ინვალიდი პენსიონერები იმ შემთხვევაში, თუ პენსია, რომელსაც ისინი იღებენ, მათი არსებობის საშუალების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს;

ვ) ბრმები, ყრუმუნჯები და სხვა ინვალიდები, რომელნიც პენსიას არ იღებენ და გამოგზავნილი არიან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ.

§ 7

ექსტერნი, რომელიც გამოცდების დაწყებისათვის არ გამოცხადდა, ამ წელს გამოცდების ჩაბარების უფლებას ჰკარგავს, ამასთან შეტანილი საფასური მას არ დაუბრუნდება.

§ 8

ექსტერნები გამოცდებს აბარებენ სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ არსებული საერთო ინსტრუქციის § 6-ით გათვალისწინებულ ყველა საგანში; გარდა ამისა, ძირითადი გამოცდების დამთავრების შემდეგ, 10 ივლისამდე აბარებენ დამატებით ზეპირ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, ბ) ბუნებისმეტყველებაში (ერთი გამოცდა, რომელიც შეიცავს ცოდნის შემოწმებას ბოტანიკასა, ზოოლოგიასა, ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიასა და დარვინიზმის საფუძვლებში), გ) ძველს მსოფლიო ისტორიაში, დ) შუა საუკუნეების ისტორიაში (ერთი გამოცდა, რომელიც შეიცავს ცოდნის შემოწმებას ფიზი-

კურ გეოგრაფიაში, ქვეყნის ნაწილების ფიზიკურ-გეოგრაფიულ მიმოხილვაში, სსრ კავშირის ფიზიკურ და ეკონომიურ გეოგრაფიაში და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ გეოგრაფიაში), ვ) ასტრონომიაში, ზ) ხატვასა და ხაზვაში, თ) წვევამდე სამხედრო მომზადებაში.

ხატვასა და ხაზვაში გამოცდებს შეადგენს ნახატებისა და ნახაზების შესრულება.

§ 9

დამატებით გამოცდებისაგან განთავისუფლდებიან ის ექსტერნები, რომელნიც წარმოადგენენ საბუთს იმის შესახებ, რომ მათ „3"-ზე ნაკლები ნიშანი არა აქვთ მიღებული წლის ბოლოს ამ საგანში (საგნებში) და მის შემდეგ 5 წელზე მეტი არაა გასული.

იმ პირთ, რომელთაც ამ საგნებში „5"-ზე დაბალი ნიშანი აქვთ, უფლება ეძლევათ, თუ სურთ, დამატებით ჩააბარონ გამოცდა ამ საგნებში უფრო მაღალი შეფასების მიღების მიზნით. ამ დამატებითი გამოცდების ჩაბარება იმავე საგამოცდო კომისიაში წარმოებს.

§ 10

ყველა წერითი და ზეპირი გამოცდის ჩატარების წესი, ექსტერნების ცოდნისადმი წარსადგენი მოთხოვნები, აგრეთვე მათი ზეპირი პასუხებისა და წერითი საგამოცდო ნამუშევრის შეფასება სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ არსებული საერთო ინსტრუქციით განისაზღვრება.

§ 11

სიმწიფის ატესტატში, რომელიც ექსტერნებს ეძლევათ, იწერება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა იმ საგანში მიღებული ნიშნები, რომლებშიც სწარმოებს გამოცდები ექსტერნებისათვის.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ექსტერნი დამატებითი გამოცდებისაგან განთავისუფლებულია ამ ინსტრუქციის § 9-ის თანახმად, ატესტატში ნიშნები ამ საგნებში შეტანილ უნდა იქნას ექსტერნების მიერ განათლების შესახებ წარმოდგენილი საბუთის საფუძველზე.

§ 12

ექსტერნისათვის სიმწიფის ატესტატის მინიჭების საკითხს საბოლოოდ წყვეტს შესაბამისად ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე ან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარი ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე.

§ 13

სიმწიფის ატესტატი მხოლოდ იმ ექსტერნებს ეძლევათ, რომელთაც ატესტატში შეტანილ ყველა საგანში „3"-ზე დაბალი ნიშანი არა აქვთ. ექსტერნს, რომელიც ყველა გამოცდას ჩააბარებს, საერთო ნიმუშის სიმწიფის ატესტატი ეძლევა, სადაც აღინიშნება, რომ მან ექსტერნად ჩააბარა გამოცდები.

§ 14

ექსტერნს, რომელმაც თუნდაც ერთ საგანში ვერ ჩააბარა გამოცდა, არავითარი საბუთი არ ეძლევა, ამასთან შეტანილი ფული არ უბრუნდება.

§ 15

ექსტერნები, რომელთაც სიმწიფის ატესტატში ყველა სასწავლო საგანში აქვთ ნიშანი „5", შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად შედიან უმაღლეს სასწავლებლებში.

განსაკუთრებული ატესტატი, უმაღლეს სკოლაში უგამოცდოდ შესვლის უფლებით, მხოლოდ იმ ექსტერნებს მიეცემათ, რომელთაც საგამოცდო წერითი ნამუშევრები მშობლიურ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში შესაბამისად ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებების ან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატების ან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების მიერ შეფასებული იქნება „5"-ზე.

§ 16

ის პირნი, რომელთაც სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ექსტერნის წესით ჩააბარეს, მედლებით არ ჯილდოვდებიან.

§ 17

იმ პირთა სიმწიფის ატესტატები, რომელთაც ექსტერნად ჩააბარეს გამოცდები საერთო სარეგისტრაციო წიგნში ტარდება, რომელიც ამისათვის არის შემოღებული.

§ 18

ექსტერნებისათვის სიმწიფის ატესტატზე გამოცდების დამთავრების შემდეგ ცალკე ანგარიში დგება საერთო ინსტრუქციის § 35 და 36-ით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის
დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს
უფროსი უშ. ოგოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქმი სიმწიფის ატესტატზე წერითი და ზეპირი გამოცდების მიმდინარეობის შესახებ

ოქმი

სიმწიფის ატესტატზე ზეპირი და წერითი გამოცდებისა . . .

_____ ქალაქის _____

(საგანში)

რაიონის _____ სკოლის მე _____ კლასში

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის გვარი, სახელი, მამის სახელი _____

გამომცდელი მასწავლებლის გვარი, სახელი, მამის სახელი _____

ასისტენტების გვარი, სახელი, მამის სახელი _____

_____

განსახკომისა და ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენლის გვარი, სახელი, მამის სახელი _____

_____

პაკეტი (საწერი თხზულების თემებით, ან ამოცანებით და მაგალითებით) ამა და ამ საგანში საქართველოს სსრ განსახკომიდან გამოგზავნილი გაიხსნა „———„ საათზე „———„ წუთზე, მასში აღმოჩნდა გამოცდების ჩატარებისათვის ყველა აუცილებელი მასალა. (პაკეტი მასალით ამ ოქმს თანერთვის).

გამოცდებზე დაშვებულ მოსწავლეთაგან გამოცდაზე გამოცხადდა———მოსწავლე, არ გამოცხადდა———მოსწავლე.

გამოცდა დაიწყო „———„ საათზე და „———„ წუთზე,

გამოცდა დამთავრდა „———„ საათზე და „———„ წუთზე.

№№ რიგ-ზე	მოსწავლის გვარი, სახელი, მამის სახელი	ზეპირი გამოცდა			გამოცდა წერაში		საბოლოო ნიშანი	შენიშვნა: (გამოცდების წარმართვის დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლის მოულოდნელად დაავადების შემთხვევაში და სხვ.)
		აღებული ბილეთის №	დამატებითი კითხვები, რომლებიც მოსწავლეს მიეცა	შეფასება (ნიშანი)	თემა ლიტერატურაში	შეფასება (ნიშანი)		

შენიშვნა: შეფასების ნიშანი იწერება ციფრითა და სიტყვით, მაგალითად: „3“ (სამი), „4“ (ოთხი) და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდების ჩატარების დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევების ჩაწერა და საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება——

———————————————————————————————

———————————————————————————————

———————————————————————————————

გამოცდების ჩატარების თარიღი

„———„——————194——წ.

ოქმში ნიშნების შეტანის თარიღი

„———„——————194——წ.

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე——————————

———————————————————————————————

გამომცდელი მასწავლებელი——————————————

———————————————————————————————

ასისტენტები ——————————————————————

———————————————————————————————

განსახკომისა და ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენელი ——————————————————————

———————————————————————————————

შენიშვნა: ცნობები ექსტერნების შესახებ ამ ოქმში შეიტანება „შენიშვნის“ სვეტში „ექსტერნის“ აღნიშვნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/III-45 წ. უე 01451. შეკვ. № 635. ტირ. 1000.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, ჟორესის ქ. № 5.